

ტრაქტორისტ-მემანქანე (III)



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ტრაქტორისტ-მემანქანე

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტს (1125 საათი); 6,5 თვე

თეორიული სწავლება 40%: 19 კრედიტი (475)საათი

პრაქტიკული სწავლება 60%: 26 კრედიტი (650)საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ჩაბარებული აქვს ტესტირება უნარებისა და საბაზისო ცოდნის ნაწილში გამოცდების ეროვნულ ცენტრში

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ტრაქტორისტ-მემანქანე, რომელიც კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლებს ტრაქტორების (თვლიანი; მუხლუხა) და თვითმავალი შასების მართვას საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მეცხოველეობის საკვების დამზადებისა და მოსავლის აღების საქმიანობასთან დაკავშირებულ სამანქანო ტექნოლოგიებს, სატრაქტორო აგრეგატების შედგენას, დაკომპლექტებას და მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროცესების ჩატარებას.

სწავლის შედეგი:

ტრაქტორისტ-მემანქანე III საფეხური

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: <ul style="list-style-type: none">• საბაზო მოდელის (თვლიანი და მუხლუხა) ტრაქტორების ზოგადი აგებულება;• ტრაქტორებისა და სატრაქტორო აგრეგატების მართვისას უსაფრთხოების ტექნიკის საერთო მოთხოვნები;• საგზაო მოძრაობისა და ტვირთის გადაზიდვის წესები;• ტრაქტორის სამუშაო მოწყობილობების და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების გამოყენება;• მექანიზებული სამუშაოების ტექნოლოგია - ხვნა, ფარცხვა, კულტივაცია, თესვა, ნიადაგში სასუქების შეტანა, მცენარეების მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, მოსავლის აღება, თიხვა, სატრაქტორო აგრეგატების შედგენა და მუშა ორგანოების რეგულირება;
------------------------------	---

	<ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მეცხოველეობის საკვების დამზადებისა და მოსავლის აღების საქმიანობასთან დაკავშირებული სამანქანო ტექნოლოგიები; • სატრაქტორო აგრეგატების შედგენის, დაკომპლექტებისა და მათი სერვისის ძირითად პრინციპები; • მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროცესების ჩატარება;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრაქტორის ძრავის მომზადებას გასაშვებად, ზამთარსა და ზაფხულში ძრავის გაშვების თავისებურებების გათვალისწინებით; • ტრაქტორების (თვლიანი; მუხლუხა) და თვითმავალი შასების მართვას; • საგზაო მოძრაობის წესების სრული დაცვით მოძრაობას; • ტრაქტორით მისვლას მისაბმელ და საკიდ სასოფლო-სამეურნეო მანქანასთან, მიერთებას ტრაქტორთან; • დამოუკიდებლად სამუშაო ორგანოს აწყობას და რეგულირებას, აგრეგატის სამუშაოდ გამზადებას და მუშა ორგანოების რეგულირებას; • აგრეგატის ტექნიკური მომსახურების ჩატარებას სტანდარტული მეთოდის მიხედვით; • სატრაქტორო აგრეგატების საშუალებით მექანიზებული სამუშაოების შესრულებას აგროტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით. • მუშაობის დროს აგრეგატის უწყისივრობის აღმოჩენას და მათ აღმოფხვრას;
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრაქტორების მუშაობის დროს გარკვეული ხარვეზების ამოცნობას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების ჩატარებას. • სასოფლო-სამეურნეო პროცესების შესრულების დროს ხარვეზების დამოუკიდებლად აღმოფხვრას; • განსხვავებულ სიტუაციებში აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვის პირობებში სატრაქტორო აგრეგატის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზს და მათი შესრულების ოპტიმალური გზების ძიებას.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრაქტორების და თვითმავალი შასების სამუშაოდ მომზადების და რეგულირებების წერილობითი მეთოდური მითითებების წაკითხვას და გააზრებას; • გაიგოს ტრაქტორებში გამოყენებული ზოგადი ტერმინოლოგია ინგლისურ ენაზე და კომპიუტერის გამოყენებით ტექნიკის მუშაობის ტექნოლოგიური სქემების გაცნობას. • ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის წერილობითი მეთოდური მითითებების წაკითხვას და გააზრებას; • თანამედროვე ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას; • სპეციალურ სახელმძღვანელოებში, ჟურნალებში ან ინტერნეტში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების სიახლეების შესახებ მასალების მოძიებას; • მიმდინარე სამუშაოების ჩატარების შესახებ მოკლე შენიშვნების ჩაწერას;

	<ul style="list-style-type: none"> • კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან ტექნოლოგიური პროცესების და უსაფრთხოების ნორმების განხილვას. • საზღვარგარეთის ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების მართვის ინსტრუქციების ინგლისურ ენაზე წაკითხვას.
სწავლის უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კოლეგების გამოკითხვით და მათი გამოცდილების გაზიარებით ტრაქტორისტი-მემანქანის საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღებას. • მემცენარეობის პროდუქტების წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესახებ ახალი ცოდნის მიღებას და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროების განსაზღვრას;
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • პასუხისმგებლობით ეკიდება ტრაქტორისტი-მემანქანის საქმიანობას; • იცავს და ასრულებს საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებს; უსაფრთხოების და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების შენახვის წესებს; • პასუხისმგებლობით ეკიდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვას. • აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები. • საქმიანობისას მკაცრად იცავს დისციპლინას და სასოფლო-სამეურნეო პროცესების შესრულების თანმიმდევრობას.

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- სასწავლო პრაქტიკას
- საწარმო პრაქტიკა
- დამოუკიდებელი მეცადინეობა
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ოთხჯერ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დასაშვებია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სტუდენტი სწავლას ასრულებს ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროგრამაზე.